თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ. თელავი 2020 წლის 18 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ლევან ლილუაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს: ლ.კოჭლოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს: ლ.კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილებების შეტანას. და დააყენა წინადადება რომ პროექტში წარმოდგენილ თითოეულ ცვლილებაზე ცალ ცალკე მოხდეს კენჭისყრა. მისთვის მიუღებელია იმ ქვეპროგრამაში ცვლილება რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 -ს ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველსაყოფად ცვლილებების შედეგად 100 ლარით დაფინანსებას, ამიტომ აღნიშნულ ცვლილებას მხარს არ დაუჭერს.

გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელთან შედარებით წლევანდელი ბიუჯეტი არის შემცირებული რომლის თანახმადაც თანხა პროექტში არის გადანაწილებული რაციონალურად. ის მხარს დაუჭერს ამ სახით წარმოდგენილ პროექტს.

ლევანი ლილუაშვილი დაეთანხმა გიგა მამუკელაშვილის მოსაზრებას.

იოსებ პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ქვეყანაში გაუარესდა სოციალური ფონი ამ პირობებში ის მხარს არ დაუჭერს წარმოდგენილ ცვლილებას.

ნიკოლოზ მაისურაძემ აღნიშნა, რომ მხარს დაუჭერს ამ სახით წარმოდგენილ პროექტს, ვინაიდან ამ ეტაპზე დღეის მდგომარეობით სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 3. (გიგა მამუკელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე.)

წინააღმდეგი: 2. (ლევან კოჭლოშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი.)

არ მიიღო მონაწილეობა: 1.(ირაკლი სულხანიშვილი.)

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6. (ლევან კოჭლოშვილი, გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ლევან ლილუაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.

წინააღმდეგი: 0.

არ მიიღო მონაწილეობა: 0

გიგა მამუკელაშვილმა კომისიის სხდომაზე გააჟღერა ინიციატივა თელავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ შესაბამის კომისიის საქმიანობაში რომელიც განიხილავს მოქალაქეების მიერ შემოტანილ განცხადებებს ჩართული იყოს აგრეთვე თელავის მუნიციპალიტეტის სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეც თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, რასაც კომისიაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ქვეშ მყოფი (მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები) ბავშვების სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6. (ლევან კოჭლოშვილი, გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ლევან ლილუაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.

წინააღმდეგი: 0.

არ მიიღო მონაწილეობა: 0

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

გადაწყვიტეს: პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი.